

Memorandum of Understanding

This Memorandum of Understanding (hereinafter the „MOU“) is made on 23 May, 2014 (the “effective date”) in Tbilisi, Georgia by and between the following parties.

On the one hand The Government of Georgia (hereinafter the “GOG”), represented by the Minister of Energy of Georgia Mr Kakha Kaladze,

And on the other hand “ENERGO Windpower” LLC (hereinafter the “Company”) represented by Chairman of the Board of Directors Mr. Yusuf Ziya Goksu.

1. Purpose

The purpose of this MOU is to ensure the study/analysis of the wind power data by the Company within the territory set out in Annex N1 of this MOU, subsequently to build, own and operate the Wind Power Plat(s) according to this MOU and the terms and conditions to be agreed by both parties afterwards.

2. Definitions

2.1. MOU – this Memorandum of Understanding

2.2. Project – the study/analysis of the wind power data by the Company within the territory set out in Annex N1 of this MOU, subsequently to build, own and operate the wind power plat(s) according to this MOU and the terms and conditions to be agreed by both parties afterwards.

3. Terms and Conditions of the Project

3.1. The company within 33 (thirty three) months after the signing the present MOU shall ensure:

- a) According to the schedule (Annex No 2.) finalization of study/analysis of the wind power data situated within the territory set out in Annex N1;
- b) Submission of the proposals to the GOG on construction of wind power plant(s) situated within the territory set out in Annex N1.

3.2. In case the Company, as a result of implementing subparagraph ‘a’ of paragraph 3.1 of this MOU, decides to build one or more Wind power plant(s), within the territory set out in Annex N1, the proposal to be submitted to the GOG according to subparagraph ‘b’ of paragraph 3.1 shall include following:

- a) the Company’s decision on construction respective wind power plant(s);
- b) Full technical parameters, including capacity and annual generation of the wind power plant(s);
- c) Exact coordinates of allocation of the wind power plant(s);
- d) Dates of receiving construction permit, commencement and completion of construction works and commencement of operation of wind power plant(s), also approximate investments required for each wind power plant(s);
- e) Obtained wind data and all related documents;
- f) The price of the electricity in an amount and for the period defined by the MOU”

3.3. Within 2 months after submitting the proposal according to paragraph 3.2, the parties shall mutually consider the question of construction of the relevant wind

power plant(s) by the Company and make a mutual decision on construction or waiver thereof.

- 3.4. After the parties decision to build one or more wind power plant(s) according to paragraph 3.3 they shall draw up the implementation agreement (agreements) on build, own and operate of the relevant wind power plant(s) (hereinafter the "Agreement") within 2 sequent months after expire date of the term determined with paragraph 3.3. The GoG shall discuss the Company's proposal about consideration of the necessary terms and conditions required for the project financing in the Agreement. Any parties' negative decision about construction of the relevant wind power plant(s) and signing the Agreement on build, own and operate of the relevant wind power plant(s) shall be justified and other party shall be notified no later than 15 days after such decision.
- 3.5. On the day of the signing of the Agreement the Company, for the purpose of ensuring the commencement of construction works based on construction permit and commencement of operations of the wind power plant(s) with determined terms and conditions, shall submit to the GOG unconditional and irrevocable bank guarantee, the amount and other terms of the bank guarantee shall be determined by the Agreement. The bank guarantee shall be issued by any Bank in Georgia or abroad licensed by "Organization of Economic Cooperation and Development" (OECD) member country.
- 3.6. The GoG within 37 (thirty seven) months from signing the MoU, within its competence, shall ensure full and unlimited access of the Company within the territory set out in Annex N1, according to Georgian legislation except the cases when:
 - a) According to the Article 3.3 of the Memorandum the decision on construction of the relevant wind power plant(s) was not made;
 - b) According to the Article 3.4 of the Memorandum the implementation agreement (agreements) on build, own and operate of the relevant wind power plant(s) was not signed;
 - c) In certain cases the full and unlimited access of the Company cannot be sustained due to the actions caused by the study/analysis of the wind power data by the third parties according to article 3.8 of the Memorandum. Herewith, the Government in such cases, is obliged to act upon the equality and integrity principles;
 - d) In case the decision defined by the article 3.9 of the Memorandum was made by the GoG.
- 3.7. Following request the Company is obliged to submit to the GOG all the wind data, studies and all related documents that it possesses, completely, free of charge of those wind power plants situated within the territory set out in Annex N1. of which:
 - a) the Company had not submitted the proposal to the GOG for construction according to paragraph 3.2,
 - b) the Company had applied to the GOG for construction according to paragraph 3.2 but the parties failed to make a decision, due to the study/analysis of the

- wind power data by the third reasons attributable to the Company on construction according to paragraph 3.3
- c) the Company had applied to the GOG for construction according to paragraph 3.2, the parties made a decision on construction under paragraph 3.3 but the implementation agreement on build, own and operation was not signed due to the reasons attributable to the Company, between the GOG and the Company under paragraph 3.4 of the MOU;
- 3.8. The GoG within 37 (thirty seven) months from signing the MoU is entitled to to give only the right of study/analysis of the wind power data within the territory set out in Annex N1 of this MOU to any third party(s), in such case the the GoG is obliged to notify the Company.
- 3.9. In case any third party(s) expresses an interest on build, own and operation of the wind power plants within the territory set out in Annex N1 of this MOU, the GoG shall ensure that proposals of the Company and any third interested party(s) shall be treated equally during the discussion and decision making process.
- 3.10. For the first ten years of operation, beginning from the date of commencement of operation of one or more wind power plant(s), minimum 20 % of full annual power generation of each wind power plant(s) during the winter months of each year, (being the months of October, November, December, January, February and March (the „Winter Months“)) shall be sold exclusively for the purposes of meeting the internal demand of Georgia, which shall be reflected in the Electricity (Power) Balance of the respective year or other similar document.
4. **Rights on Land Plots and Construction Permits**
- 4.1. For the purpose of constructing the wins power plant(s), in case of necessity the GOG shall ensure the Company with ownership and/or leasing right of respective state owned land plots according to Georgian applicable legislation.
- 4.2. The GOG shall use its best endeavors within its authority to assist the Company with obtaining construction and other permit(s) and/or Licenses, providing the Company meets the relevant requirements under the Georgian legislation.
5. **Project Expenses, Providing Information**
- 5.1. The expenses related to the implementation of the Project shall be fully borne by the Company.
- 5.2. The Company is obliged to submit to the Ministry of Energy of Georgia, on quarterly basis, a progress report of the fulfillment of the conditions set out under the MOU, including but not limited full and detailed information about fulfillment of the schedule (Annex No 2.) by the Company. If the quarterly progress report, permanent progress of the project with respect to the schedule or some part of the study/report is not of proper quality the Ministry of Energy of Georgia shall notify the company in written about the quality of the study/reports and or any other document and give the company reasonable additional period of up to the three months to adjust the issues observed. Herewith the mentioned time extension shall not cause the extension of the term determined by article 3.1.
- 5.3. In case, if Company violates any timeline defined by this MoU due to the Government, local governmental bodies and/or any other state organization's

action or inaction, the Company receives additional time period in amount of the time missed in order to fulfill its obligations.

6. Effectiveness of the MOU

6.1. This MOU shall enter into force from the moment of its execution by both parties.

6.2. The MOU shall be terminated in the following cases:

- a) Upon agreement of parties
- b) The GOG is entitled to terminate the MOU within part of one or more wind power plant(s) situated within the territory set out in Annex N1. of which:
 - b.a) The Company had not submitted the proposal(s) to the GOG on construction of the respective wind power plant(s) according to paragraph 3.2 - on the expire of the term under paragraph 3.1;
 - b.b) The Company had applied to the GOG for construction according to paragraph 3.2 but the parties failed to make a decision on construction under paragraph 3.3 - on the expire of the term under paragraph 3.3;
 - b.c) The Company had applied to the GOG for construction according to paragraph 3.2, but the parties made a decision on construction under paragraph 3.3 but the Agreement on build, own and operate was not drawn up between the GOG and the Company before the expiration date of the term set out under paragraph 3.4 of the MOU on the expiration of the term under paragraph 3.4. Each party is obliged to give the other party a justified written notification about not signing the above mentioned Agreement, within the 15 days after the expire date of the term defined by the present article;;
- c) The Company has violated the schedule of feasibility study (Annex No 2.), and the additional time given to the Company according to the articles 5.2 and 5.3 has been expired of any wind power plant(s) situated within the territory set out in Annex N1. for the respective wind power plant(s) only - on the expire date of the additional time given to the Company;
- d) In other cases determined by Georgian applicable legislation.

6.3. Termination of the MOU partially or completely doesn't affect the Company's obligation set out under article 3.7.

7. Force-Majeure

7.1 Force Majeure shall mean any event beyond the reasonable control of either the party, the occurrence of which could not have been reasonably foreseen at the date of signing the MoU, including but not limited to, , revolution, riot, insurrection, illegal strikes, civil commotion, invasion, armed conflict, hostile act of a foreign enemy, blockade, embargo, act of terrorism, sabotage, civil disturbance, radiation, biological or chemical contamination, ionizing radiation, explosion, fire, epidemic, cyclone, tidal wave, landslide, lightning, earthquake, flood, volcanic eruption, other natural disaster or calamity of any kind and any other similar event.

7.2 If any party hereto is affected by Force Majeure as defined in previous article, it shall give written notice immediately after becoming aware thereof to the other party. A detailed report elaborating the reasons and consequences of the Force Majeure event will be provided by any affected party to the other party.

7.3 If a Force Majeure event shall prevent the total or partial performance of any of the obligations of either Party under the Memorandum, then the Party claiming Force Majeure shall be excused from whatever performance is prevented thereby to the extent so affected and the other Party shall not be entitled to terminate this Memorandum except as otherwise provided herein. Notwithstanding the Force Majeure event, the Party claiming Force Majeure shall use commercially reasonable efforts to continue to perform its obligations under this Memorandum and to minimize any adverse effects of such event of Force Majeure.

7.4 In case the Force Majeure lasts more than 1 year, either party is entitled to terminate the present Memorandum based on the written notice given to another party.

8. Amendments

8.1 This MOU may be amended by written agreement of the parties. If any provision of this MOU becomes invalid or unenforceable, the validity of other provisions shall not be affected.

8.2 The Company, with the GoG's written approval, is entitled to transfer its the rights and obligations defined by the MoU to any third parties.

9. Notifications

9.1 Any correspondence sent by the parties within the framework of this MOU shall be made in writing and shall be sent by mail or courier service (with the original to follow). The notification shall enter into force immediately upon its receipt by the recipient.

10. Governing Law and Dispute Resolution

10.1. This MOU shall be governed by the law of Georgia.

10.2. All disputes arising from this MOU shall be resolved by the Common Courts of Georgia, in accordance with the applicable legislation of Georgia.

11. Counterparts, language of MOU


11.1 This MOU is prepared in English-Georgian languages, two original counterparts. In case of any inconsistency between two texts of the Agreement, the Georgian text shall prevail.

12. Signatories:

The Government of Georgia


Kakha Kaladze

"ENERGO Windpower" LLC

Mr. Yusuf Ziya Goksu


Annex N1.

The Location	Coordinates
Chorokhi	Corner 1: (212510/4611501) Corner 2: (222548/4610428) Corner 3: (211724/4601388) Corner 4: (221440/4600776)
Poti	Corner 1: (222189/4684480) Corner 2: (252697/4683916) Corner 3: (221783/4654246) Corner 4: (251609/4654242)
Kutaisi	Corner 1 (280803/4688855) Corner 2 (321273/4688386) Corner 3 (280060/4648745) Corner 4 (320582/4648566)
Mta Sabueti 1+2	Corner 1: (337600/4663454) Corner 2: (397248/4663398) Corner 3: (3370737/4633654) Corner 4: (397406/4633462)
Gori & Kaspi	Corner 1: (428473/4665238) Corner 2: (468292/4664579) Corner 3: (427269/4625272) Corner 4: (467641/4624746)
Samgori	Corner 1: (486940/4627763) Corner 2: (501606/4625921) Corner 3: (485454/4616786) Corner 4: (500870/4615160)
Rustavi	Corner 1 (507254/4613033) Corner 2 (527607/4611544) Corner 3 (505280/4593091) Corner 4 (525142/4591076)
Paravani & Akhalkalaki	Corner 1: (332364/4630739) Corner 2: (393547/4624481) Corner 3: (325204/4596689) Corner 4: (356061/4564340) Corner 5: (337572/4561279)

The Government of Georgia

Kakha Kaladze

"ENERGO Windpower" LLC

Mr. Yusuf Ziya Goksu

Annex N2.

	Quantity of the months after the MoU is Signed										
	3	6	9	12	15	18	21	24	27	30	33
Wind energy resource assessment report	x	x	x	x	x	x	x	x			
Annual energy yield assessment	x	x	x	x	x	x	x	x			
Investigation of the topographic site conditions	x	x	x	x	x	x	x	x			
Power system and grid connection study			x	x	x	x	x	x			
Preliminary Report about Environmental and Social Impact								x			
Optimized wind farm layout								x	x		
Choice of technology alternatives									x	x	
Interconnection layout									x	x	
Locate and determine the lands necessary for the implementation of the Project									x	x	x
Geological, Geophysical									x	x	x
Cost estimation and economic analysis									x	x	x
Feasibility Study completion and Submission											x
Basic design										x	x
Procurement Planning and Execution Scheme										x	x
Timetable of Work- Force Training											x
Environmental and Social Assessment report completion and Submission											x
Conduct the public Hearings and submit the results										x	x
Submission of the proposal to the Government about the implementation of the Project											x

The Government of Georgia

Kakha Kikvidze

"ENERGO Windpower" LLC

Mr. Yusuf Ziya Goksu

ურთიერთგაგების მემორანდუმი

ქ. თბილისი

23 მაისი, 2014 წ.

საქართველოს მთავრობა (შემდგომში "მთავრობა"), წარმოდგენილი საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის კახა კალაძეს მიერ; და

"ENERGO Windpower" LLC (შემდგომში "კომპანია") წარმოდგენილი მისი დირექტორთა საბჭოს თავჯდომარის იუსუფ ზია გოქსუს მიერ.

დებენ წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმს შემდეგზე:

1. მიზანი

1.1. მემორანდუმის მიზანს წარმოადგენს კომპანიის მიერ, ამ მემორანდუმის დანართი N1-ით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე ქარის მონაცემთა შესწავლა შემდგომში ქარის ელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის, ფლობის და ოპერირების მიზნით წინამდებარე მემორანდუმის და მხარეთა შორის დამატებით შეთანხმებული პირობების მიხედვით.

2. განმარტებები

2.1. „მემორანდუმი“ - წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმი.

2.2. „პროექტი“ - მემორანდუმის დანართი N1-ით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე ქარის მონაცემთა შესწავლა შემდგომში ქარის ელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის, ფლობის და ოპერირების მიზნით წინამდებარე მემორანდუმის და მხარეთა შორის დამატებით შეთანხმებული პირობების მიხედვით.

3. პროექტის ვადები და პირობები

3.1. კომპანია წინამდებარე მემორანდუმის ხელმოწერიდან 33 (ოცდაცამეტი) თვეში უზრუნველყოფს:

ა) მემორანდუმის დანართი N1-ით გათვალისწინებული ტერიტორიაზე მემორანდუმის დანართი N2 გრაფიკის შესაბამისად ქარის მონაცემთა შესწავლას;

ბ) დანართი N1-ით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე ელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობასთან დაკავშირებით წინადადების საქართველოს მთავრობისთვის წარდგენას.

3.2. იმ შემთხვევაში თუ 3.1. პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესრულების შედეგად კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება ქარის ელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის შესახებ, 3.1. პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად საქართველოს მთავრობისთვის წარდგენილი წინადადება უნდა შეიცავდეს:

ა) კომპანიის გადაწყვეტილებას შესაბამისი ელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობაზე;

ბ) ელექტროსადგურ(ებ)ის დადგმულ სიმძლავრეს და საშუალო წლიურ გამომუშავებას;

გ) ელექტროსადგურ(ებ)ის ადგილმდებარეობის ზუსტ კოორდინატებს;

დ) ელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის დაწყების, მშენებლობის ეტაპების, მშენებლობის დასრულების და ექსპლუატაციაში გაშვების თარიღებს, აგრეთვე თითოეული ელექტროსადგურისთვის განსახორციელებელი ინვესტიციის ოდენობას;

ე) მოპოვებულ ქარის მონაცემებს და მასთან დაკავშირებულ სრულ დოკუმენტაციას;

ვ) წინამდებარე მემორანდუმით განსაზღვრული ვადითა და ოდენობით გასაყიდი ელექტროენერჯის ფასს.

3.3. 3.2. პუნქტის შესაბამისად წინადადების წარდგენიდან 2 თვის ვადაში მხარეები ერთობლივად განიხილავენ კომპანიის მიერ ელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის საკითხს და იღებენ გადაწყვეტილებას ელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის ან მშენებლობაზე უარის შესახებ.

3.4. 3.3. პუნქტის შესაბამისად, მხარეთა მიერ ელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან, 3.3. პუნქტით დადგენილი ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 2 თვისა მხარეთა შორის იდება ხელშეკრულება (ხელშეკრულებები) ელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ (შემდგომში „ხელშეკრულება“). მთავრობა განიხილავს კომპანიის წინადადებას ხელშეკრულებაში პროექტის დაფინანსებისათვის საჭირო პირობების გათვალისწინების თაობაზე. ნებისმიერი მხარის გადაწყვეტილება ელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობაზე უარის და ელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის ბლოკისა და ოპერირების თაობაზე ხელშეკრულების გაფორმებაზე უარის თქმის შესახებ, უნდა იქნას დასაბუთებული და წერილობით უნდა ეცნობოს მეორე მხარეს ამ დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებიდან, არაუგვიანეს 15 დღის ვადაში.

3.5. ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან კომპანია ვალდებულია დადგინდეს ვადაში და პირობებით მშენებლობის ნებართვის საფუძველზე ელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის დაწყების და ექსპლუატაციაში მიღების უზრუნველსაყოფად, საქართველოს მთავრობის სასარგებლოდ საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს წარუდგინოს საბანკო გარანტია, გარანტიის პირობები და მოცულობა დამატებით განისაზღვრება ხელშეკრულებით. ამასთან, საბანკო გარანტია გაცემული უნდა იყოს „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD)“ წევრ ნებისმიერ ქვეყანაში ან/და საქართველოში ლიცენზირებული ბანკის მიერ.

3.6. მთავრობა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ამ მემორანდუმის დადებიდან 37 (ოცდაჩვიდმეტი) თვის განმავლობაში უზრუნველყოფს კომპანიის სრულ და შეუფერხებელ საქმიანობას დანართი N1-ით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე, საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

ა) მემორანდუმის 3.3 პუნქტის შესაბამისად მხარეთა მიერ არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება ელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის შესახებ;

ბ) მემორანდუმის 3.4 პუნქტის შესაბამისად მხარეთა შორის არ დაიდო ხელშეკრულება ელექტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ;

გ) ცალკეულ შემთხვევაში კომპანიის საქმიანობის სრული და შეუფერხებელი უზრუნველყოფა ვერ ხერხდება მემორანდუმის 3.8 პუნქტის საფუძველზე სხვა დაინტერესებულ პირ(ებ)ს მიერ ქარის მონაცემთა შესწავლასთან დაკავშირებული ქმედებების განხორციელების გამო. ამასთან, ასეთ შემთხვევაში მთავრობა ვალდებულია იმოქმედოს თანასწორობისა და კეთილსინდისიერების პრინციპით.;

დ) მემორანდუმის 3.9 პუნქტით განსაზღვრული გადაწყვეტილების, მიღების შემთხვევაში.

3.7. კომპანია ვალდებულია მოთხოვნისთანავე გადასცეს მთავრობას მის ხელთ არსებული დანართი N1-ით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე ქარის მონაცემები და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტები (მათ შორის ქარის მონაცემები) სრულად, უსასყიდლოდ, ექსკლუზიური საკუთრების უფლებით, თუ:

ა) მშენებლობის შესახებ კომპანიის მიერ 3.2. პუნქტის შესაბამისად მთავრობისთვის წინადადება არ იქნა წარდგენილი;

ბ) მშენებლობაზე კომპანიის მიერ 3.2. პუნქტის შესაბამისად მთავრობისთვის წარდგენილ იქნა წინადადება მაგრამ 3.3. პუნქტის მიხედვით მხარეთა მიერ არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება მშენებლობაზე კომპანიის გადაწყვეტილებით;

გ) მშენებლობაზე კომპანიის მიერ 3.2. პუნქტის შესაბამისად მთავრობისთვის წარდგენილ იქნა წინადადება, 3.3. პუნქტის მიხედვით მხარეთა მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება მშენებლობაზე, მაგრამ მთავრობას და კომპანიას შორის მემორანდუმის 3.4. პუნქტით დადგენილ ვადაში არ იქნა დადებული მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ხელშეკრულება კომპანიის გადაწყვეტილებით;

3.8. მთავრობა წინამდებარე მემორანდუმის დადებიდან 37 (ოცდაჩვიდმეტი) თვის ვადაში უფლებამოსილია სხვა დაინტერესებულ პირ(ებ)ს გადასცეს დანართი N1-ით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე მხოლოდ ქარის მონაცემთა შესწავლის უფლება, ამასთან მთავრობა ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე წერილობით წინასწარ აცნობოს კომპანიას.

3.9. იმ შემთხვევაში თუ მემორანდუმის დანართი N 1-ით განსაზღვრულ ტერიტორიაზე სხვა დაინტერესებული პირ(ებ)ის მიერ გამოხატულ იქნა ინტერესი ელექტროსადგურის მშენებლობის ფლობის და ოპერირების თაობაზე მთავრობა შესაბამისი ელექტროსადგურის მშენებლობის თაობაზე განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში უზრუნველყოფს კომპანიის ინფორმირებულობას და კომპანიისა და სხვა დაინტერესებული პირ(ებ)ის წინადადებების თანაბარ პირობებში განხილვას.

3.10. ქვეყნის ელექტროენერჯით მომარაგების უზრუნველყოფის მიზნით, ექსპლუატაციაში მიღებიდან ათი წლის განმავლობაში, კომპანიის მიერ წინამდებარე მემორანდუმის შესაბამისად აშენებული თითოეული ელექტროსადგურის, ყოველი წლის ზამთრის თვეებში (ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი, იანვარი, თებერვალი, მარტი (“ზამთრის პერიოდი”)) წლიური გენერაციის მინიმუმ 20%-ის რეალიზაცია უნდა განხორციელდეს საქართველოში, ადგილობრივ ბაზარზე, რაც აისახება

შესაბამისი წლის ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბალანსში, ან სხვა ანალოგიური ხასიათის დოკუმენტში.

4. მიწის იჯარა, საკუთრების უფლება და მშენებლობის ნებართვა

4.1. პროექტის განხორციელების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, მთავრობა უზრუნველყოფს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შესაბამისი მიწის ნაკვეთ(ებ)ის კომპანიისათვის კანონმდებლობით დადგენილ წესით საკუთრებაში ან იჯარით გადაცემას.

4.2. მთავრობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში, აღმოუჩენს კომპანიას სათანადო დახმარებას მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მიღებასთან დაკავშირებით, იმ პირობით, რომ კომპანიის მიერ სრულად იქნება დაკმაყოფილებული კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები და პირობები.

5. პროექტის ხარჯები, ინფორმაციის მიწოდება

5.1. პროექტის კვლევებთან დაკავშირებულ ხარჯებს სრულად გაიღებს კომპანია.

5.2. კომპანია წინამდებარე მემორანდუმის დადების დღიდან ვალდებულია კვარტალში ერთხელ (დანართი N2-ის შესაბამისად) საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს წარუდგინოს ანგარიში, რომელიც უნდა ასახავდეს კომპანიის მიერ ვალდებულებების შესრულების პროგრესს, რაც უნდა შეიცავდეს კონკრეტული კვლევის დასაბუთების შესახებ ინფორმაციას, მიღებული შედეგებს, გაანგარიშებებს, გათვლებს, პარამეტრებს, გამოყენებული მეთოდოლოგიებისა და სტანდარტების მითითებით. თუ აღნიშნული ანგარიში, მთლიანად ან ნაწილობრივ არ არის შესაბამისი ხარისხის, საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო წერილობითი შეტყობინების მეშვეობით კომპანიას უსაზღვრავს დამატებით გონივრულ ვადას არანაკლებ 3 თვისა, აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით. აღნიშნული დამატებითი დრო არ განაპირობებს 3.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადის გაზრდას.

5.3. იმ შემთხვევაში თუ კომპანიის მიერ წინამდებარე მემორანდუმით გასაზღვრული ნებისმიერი ვადის დარღვევა გამოწვეულია მთავრობის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სხვა სახელმწიფო სტრუქტურების მოქმედებით ანდა უმოქმედობით, კომპანიას მიეცემა დამატებითი ვადა მისი ვალდებულებების შესასრულებლად შესაბამისი გაცდენილი ვადის ოდენობით.

6. მემორანდუმის მოქმედება

6.1. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე;

6.2. მემორანდუმის მოქმედება შეწყდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) მხარეთა შეთანხმებით;

ბ) იმ ელექტროსადგურ(ებ)ის ნაწილში, რომელთა:

ბ.ა) მშენებლობის შესახებ კომპანიის მიერ 3.2. პუნქტის შესაბამისად არ იქნა მთავრობისთვის წარდგენილი წინადადება - 3.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვისთანავე;

ბ.ბ) მშენებლობაზე კომპანიის მიერ 3.2. პუნქტის შესაბამისად მთავრობისთვის წარდგენილ იქნა წინადადება, მაგრამ 3.3. პუნქტის მიხედვით მხარეთა მიერ არ იქნა მიღებული გადაწყვეტილება მშენებლობაზე - 3.3. პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვისთანავე;

ბ.გ) მშენებლობაზე კომპანიის მიერ 3.2. პუნქტის შესაბამისად მთავრობისთვის წარდგენილ იქნა წინადადება, 3.3. პუნქტის მიხედვით მხარეთა მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება მშენებლობაზე, მაგრამ მთავრობას და კომპანიას შორის მემორანდუმის 3.4. პუნქტით დადგენილ ვადაში არ იქნა დადებული მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ ხელშეკრულება - 3.4 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვისთანავე. მხარე ვალდებულია აღნიშნული ხელშეკრულების არ დადების თაობაზე მეორე მხარეს წერილობით აცნობოს დასაბუთებული გადაწყვეტილება წინამდებარე მუხლით განსაზღვრული ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 15 დღის ვადაში;

გ) კომპანიამ დანართი N1-ით განსაზღვრულ ელექტროსადგურ(ებ)ზე დაარღვია მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური განხორციელებადობის კვლევის ვადები (დანართი N2) და ასევე 5.2 და 5.3 პუნქტების შესაბამისად განსაზღვრული დამატებითი ვადები - დამატებითი ვადის ამოწურვისთანავე.

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

6.3. წინამდებარე მემორანდუმის მოქმედების მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვეტა არ აუქმებს 3.7. პუნქტით გათვალისწინებულ კომპანიის ვალდებულებებს.

7. ფორს-მაჟორი

7.1. ფორს-მაჟორი ნიშნავს ნებისმიერ მოვლენას, რომელიც ორივე მხარის გონივრული კონტროლის მიღმაა და მისი წარმოქმნის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელი იყო მემორანდუმის დადების მომენტისათვის, მათ შორის, ომი, რევოლუცია, ამბოხი, აჯანყება, უკანონო გაფიცვები, სამოქალაქო მღელვარება, დაპყრობა, შეიარაღებული კონფლიქტი, უცხოური მოწინააღმდეგეს მიერ ჩადენილი მტრული ქმედება, ბლოკადა, ემბარგო, ტერორისტული აქტი, საბოტაჟი, სამოქალაქო არეულობა, რადიაცია, ბიოლოგიური ან ქიმიკური დაბინძურება, იონიზებული რადიაცია, აფეთქება, ხანძარი, ეპიდემია, ციკლონი, მოქცევითი ტალღა, მეწყერი, ელვა, მიწისძვრა, წყალდიდობა, ვულკანის ამოფრქვევა, სხვა ბუნებრივი კატასტროფა, ნებისმიერი უბრდურების სახეობა ან და მსგავსი მოვლენა.

7.2. თუ რომელიმე მხარე მოექცევა ფორს-მაჟორის პირობებში, რომლებიც მოყვანილია წინა პუნქტში, მან დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ამის შესახებ. დეტალური ანგარიში, რომელიც შეიცავს ფორს-მაჟორის მიზეზებსა და შედეგებს, უნდა წარედგინოს ერთი მხარის მხრივ მეორეს.

7.3. იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოება ხელს შეუშლის მემორანდუმით გათვალისწინებული ნებისმიერი მხარის ვალდებულების ან/და უფლებამოსილების ჯეროვნად შესრულებას, აღნიშნული დარღვევა ჩაითვლება საპატიოდ და მეორე მხარე არ ექნება უფლება შეწყვიტოს წინამდებარე მემორანდუმი, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

7.4. იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოება გრძელდება 1 წელზე მეტი ვადით, ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე მემორანდუმი მეორე მხარისათვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

8. ცვლილებები

8.1. წინამდებარე მემორანდუმის ცალკეული დებულება შეიძლება შეიცვალოს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე. თუ მემორანდუმის რომელიმე დებულება ძალას დაკარგავს, ეს არ იმოქმედებს მემორანდუმის სხვა დებულებებზე.

8.2. კომპანია, მთავრობასთან შეთანხმებით, უფლებამოსილია წინამდებარე მემორანდუმით განსაზღვრული თავისი უფლებები და მოვალეობები სრულიად ან ნაწილობრივ გადასცეს სხვა, მესამე პირებს.

9. შეტყობინება

9.1. მხარეების მიერ გაგზავნილი ნებისმიერი კორექსონდენცია წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში, უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით და გაიგზავნოს ფოსტით ან კურიერის მეშვეობით. (ორიგინალთან ერთად). შეტყობინება შევა ძალაში დაუყოვნებლივ მიმღების მიერ მისი მიღებისთანავე.

10. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების მოგვარება

10.1. წინამდებარე მემორანდუმი დადებულია და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

10.2. ყველა დავა, რომელიც წარმოიშვება წინამდებარე მემორანდუმთან დაკავშირებით, გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ასლები, მემორანდუმის ენა

11.1. მემორანდუმი შედგენილია ქართულ და ინგლისურ ენებზე ორ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, ტექსტებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ქართულ ენოვან ეგზემპლარს.

12. ხელმოწერები:

“საქართველო მთავრობა”

კახა კალაძე

“ENERGO Windpower” LLC

იუსუფ ზია გოქსუ

დანართი N1

ადგილმდებარეობა	კოორდინატები
ჭოროხი	Corner 1: (212510/4611501) Corner 2: (222548/4610428) Corner 3: (211724/4601388) Corner 4: (221440/4600776)
ფოთი	Corner 1: (222189/4684480) Corner 2: (252697/4683916) Corner 3: (221783/4654246) Corner 4: (251609/4654242)
ქუთაისი	Corner 1 (280803/4688855) Corner 2 (321273/4688386) Corner 3 (280060/4648745) Corner 4 (320582/4648566)
მთა საბუეთი 1+2	Corner 1: (337600/4663454) Corner 2: (397248/4663398) Corner 3: (3370737/4633654) Corner 4: (397406/4633462)
გორი და კასპი	Corner 1: (428473/4665238) Corner 2: (468292/4664579) Corner 3: (427269/4625272) Corner 4: (467641/4624746)
სამგორი	Corner 1: (486940/4627763) Corner 2: (501606/4625921) Corner 3: (485454/4616786) Corner 4: (500870/4615160)
რუსთავი	Corner 1 (507254/4613033) Corner 2 (527607/4611544) Corner 3 (505280/4593091) Corner 4 (525142/4591076)
ფარავანი და ახალქალაქი	Corner 1: (332364/4630739) Corner 2: (393547/4624481) Corner 3: (325204/4596689) Corner 4: (356061/4564340) Corner 5: (337572/4561279)

„საქართველოს მთავრობა“

“ENERGO Windpower” LLC

კახა კალაძე

იუსუფ ზია გოქსუ

დანართი 2


	თვეების რაოდენობა მემორანდუმის ხელმოწერის დღიდან										
	3	6	9	12	15	18	21	24	27	30	33
მონაცემთა დამუშავება	x	x	x	x	x	x	x	x			
გენერაციის შეფასება	x	x	x	x	x	x	x	x			
ტოპოგრაფია	x	x	x	x	x	x	x	x			
ქსელთან მიერთების კვლევა			x	x	x	x	x	x			
ზუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების წინასწარი ანგარიში								x			
ქარის სადგურის სქემის ოპტიმიზება								x	x		
ალტერნატივების არჩევა ტექნოლოგიისთვის									x	x	
შიდა შეერთებების დიზაინი									x	x	
პროექტისთვის საჭირო მიწების განსაზღვრა									x	x	x
გეოლოგია, გეოფიზიკა									x	x	x
ხარჯთაღრიცხვა და ეკონომიკური შეფასება									x	x	x
საბოლოო ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ჩაბარება											x
ტექნიკური დიზაინი										x	x
შესყიდვებისა და განხორციელების გეგმა										x	x
მუშა-ხელის ტრენინგი											x
საბოლოო ზუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების ანგარიში											x
საჯარო განხილვების ჩატარება										x	x
პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული წინადადების წარგდენა მთავრობისთვის											x


“საქართველოს მთავრობა”

“ENERGO Windpower” LLC

კახა კალაძე

იუსუფ ზია გოქსუ





საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA



KA010161297308914

საქართველო, ქ. თბილისი, 01114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge
24 a, Gorgasli str., 01114, Tbilisi Tel: 2 40-51-48, 2 40-58-36, E-MAIL: info@justice.gov.ge

№3574

24 / აპრილი / 2014 წ.

საქართველოს ენერჯეტიკის
მინისტრის მოადგილეს,
ბატონ ირაკლი ხმალადეს

ბატონო ირაკლი,

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2014 წლის 11 აპრილის №04/1415 წერილით წარმოდგენილი საქართველოს მთავრობასა და „Energo Windpower LLC“-ს შორის გასაფორმებელი ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი (შემდგომში - „მემორანდუმის პროექტი“), რომელთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:

1. მემორანდუმის პროექტის 3.6 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების საქართველოს მთავრობის მიერ აღების მიზანშეწონილობა საჭიროებს დამატებით განხილვას, ერთი მხრივ, მემორანდუმის პროექტის 3.3 და 3.4 პუნქტებით განსაზღვრული შემთხვევების გათვალისწინებით და, მეორე მხრივ, მემორანდუმის პროექტის 3.8 და 3.9 პუნქტებით დადგენილი შესაძლებლობის ზემოაღნიშნულ ვალდებულებასთან შესაძლო შესაბამისობის წარმოქმნის კრილში;

2. მემორანდუმის პროექტის შინაარსის გათვალისწინებითა და ასევე, მემორანდუმის პროექტის 6.2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.გ“ პარაგრაფთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, მიზანშეწონილია, მემორანდუმის პროექტის 3.3 პუნქტის ბოლო წინადადება გადატანილ იქნეს 3.4 პუნქტში. ამასთან, მიზანშეწონილია, მიგვაჩნია, მემორანდუმის პროექტის 3.5 პუნქტში არსებული ტერმინის - „სამშენებლო გარანტიის“ - ნაცვლად, გამოყენებულ იქნეს ტერმინი - „საბანკო გარანტია“;

3. მემორანდუმის პროექტის მე-7 მუხლში მიზანშეწონილია, განისაზღვროს ფორსმაჟორული გარემოების ხანგრძლივი პერიოდით გაგრძელების შემთხვევაში, მხარეთა მიერ მემორანდუმის შეწყვეტის წესი და პირობები.

პატივისცემით,

მინისტრის პირველი მოადგილე

ალექსანდრე ბარამიძე